ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 01-07/9

07/10/2020

9-01-07-4-202010071227

ქ.ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გასვლითი რიგგარეშე სხდომის ჩატარებისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს გადაწყვეტილების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი''-ს 26-ე მუხლის მეორე პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 48-ე მუხლის შესაბამისად ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მოწვეულ იქნას ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გასვლითი რიგგარეშე სხდომა 2020 წლის 8 ოქტომბერს 11-00 საათზე, რომელიც ჩატარდება ქობულეთის კულტურის სახლის დარბაზში. (მის: ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზირი N 114);

2.ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ გადაწყვიტა: ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის 8 ოქტომბრის საკრებულოს გასვლითი რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში შეტანილ იქნას შემდეგი საკითხები:

2.1. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 06 ოქტომბრის N01-14/5389 მომართვა-,,ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 29 ივნისის N35 დადგენილებაში დამატების შეტანის თაობაზე ;

(მომხსენებელი: ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი თეონა გეგიძე)

2.2. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 23 სექტემბრის N01-14/4973 მომართვა -ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქობულეთი, დაბა ჩაქვი, მეგენეიშვილის ქუჩა N17-ში მდებარე 508,0 კვ.მ. (ს/კ 20.48.09.162) და 32,0 კვ.მ. (ს/კ 20.48.09.161) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკაზე გადაცემის შესახებ;

(მომხსენებელი: ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის

მოადგილე დავით ვერულიძე)

2.3. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 14 აგვისტოს N01-14/3973 მომართვა -შპს „მაგთიკომი"-სათვის ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელებაზე

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემისა და წლიური საწყისი საიჯარო საფასურის განსაზღვრის შესახებ;

(მომხსენებელი: ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის

მოადგილე დავით ვერულიძე)

3. გრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30);

4. გრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

დავით მჭედლიშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე
ხელმძღვანელობა